თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №1

თბილისი, 14 ივლისი, 2020

სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) სოფიო ტეფნაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის უფროსი ბექა ზეგარდელი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (პროტოკოლი);

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;
- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე ტაბატაძემ, სხდომა გახსნა 12:10 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ბატონმა ალექსანდრემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მიმართვა;

2. დამსწრე კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციების მოსმენა;
3. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პრეზენტაცია ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებით;
4. ორგანიზაციული საკითხების განხილვა (კომისიის სხდომების ჩატარების თარიღებისა და დროის განსაზღვრა);
5. სხვადასხვა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე მიესალმნენ კომისიის წევრებსა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას. ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე აღარ იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. ამასთან, კომისიის წევრებს გააცნო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის წესთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ:

თუ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 21 ივნისის №307 ბრძანების თანახმად, კომისია თანამშრომლობდა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დღეს მოქმედი კომისია თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღებ პოლიტიკურ პარტიებთან, აგრეთვე, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებთან. კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე, ერთჯერადად სხვა პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები, რომლებიც კომისიას აწვდიან საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ინფორმაციას იმ სხდომაზე, რომელზეც განიხილება შესაბამისი საკითხი.

ამასთან, ბატონმა ალექსანდრემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის საქმიანობის წესთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცვლილება, კერძოდ: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და

სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე (2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი) ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის 2019 წლის 28 თებერვლის ანგარიშის XII ნაწილის შესაბამისად, კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეიტანება მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ან სხვაგვარად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს ეხება. კომისიის წინაშე დასმული ნებისმიერი სხვა საკითხი დღის წესრიგში განსახილველად არ შევა და ის შესაბამის უწყებას შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად, რის შესახებაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

დღის წესრიგის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სიტყვა გადასცა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ სანიკიძეს, პროექტის პრეზენტაციისთვის, რომელიც შეეხებოდა საარჩევნო სიის სრულყოფის საკითხს. პრეზენტაციისას ბატონმა ზურაბმა წარმოადგინა პირადობის ელექტრონულ მოწმობებთან, ბიომეტრიულ და არაბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებული დინამიკა, რომელიც მოიცავდა 2012-2018 წლებს. მისი თქმით, დღესდღეობით, პირადობის ელექტრონული მოწმობის მქონეა 2,955,286 მოქალაქე, ბიომეტრიული პასპორტის მფლობელია 220,938 (არ აქვს ელექტრონული მოწმობა) პირი და არაბიომეტრიული დოკუმენტების მქონეა 373,716 პირი. როგორც ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, დადებითი დინამიკა განაპირობა იუსტიციის მინისტრის ინიციატივებმა.

ბატონმა ზურაბმ ისაუბრა პოტენციურ ამომრჩეველთა სიის სრულყოფისათვის პროექტის 3 ძირითად მიზანზე: 1) პრობლემების მოგვარება, რომელთა გამოც საქართველოს მოქალაქეების განსაზღვრულ კატეგორიას ეზღუდება ხმის მიცემის უფლება; 2) გარდაცვლილ პირთა აქტიური ჩანაწერების მაქსიმალურად შემცირება; 3) სააგენტოს მონაცემთა ბაზების სრულყოფა და ხარისხის ამაღლება.

ამის შემდეგ მან დაწვრილებით ისაუბრა პროექტის ყოველ ამოცანასა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე, სხდომაზე დამსწრეთ გააცნო ინფორმაცია 2019 წლის 01 ივლისიდან (პროექტის დაწყების ეტაპისთვის) განხორციელებული აქტივობებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (პროექტის ფარგლებში განხორციელდა და იგეგმება იურიდიულად ძალადაკარგული დოკუმენტების მქონე და რეგისტრაციიდან მოხსნილი პირებისათვის პირადობის დამადასტურებელი

დოკუმენტის გაცემაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული დევნილის სტატუსშეჩერებული მოქალაქეებისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარეგისტრირების შეთავაზება საარჩევნო სიაში მოხვედრის მიზნით; არარსებულ/არასრულ ან/და ლიკვიდირებულ მისამართზე რეგისტრირებული პირების ინფორმირება და მათი მაქსიმალურად სრულ/სწორ მისამართზე დარეგისტრირება; მისამართის გარეშე რეგისტრირებული პირებისთვის, რომლებსაც არ უფიქსირდებათ ან არასრულად აქვთ მითითებული ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, იდენტიფიცირებად მისამართზე დარეგისტრირების შეთავაზება საარჩევნო სიაში მოხვედრის მიზნით; მონაცემთა ბაზაში უსურათო/უხარისხო სურათის მქონე ჩანაწერების მაქსიმალურად შემცირება; საზღვარგარეთ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მისამართების კორექტირება; საარჩევნო სიაში გარდაცვლილი პირების (მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ გარდაცვლილთა) აქტიური ჩანაწერების შემცირება); დეტალურად განიხილა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ ზემოხსენებული აქტივობების მიზნების მისაღწევად გატარებული და მიმდინარე ღონისძიებები.

ბატონმა ზურაბ სანიკიძემ კომისიას გააცნო მიმდინარე პროექტის ანგარიში ამ ეტაპისთვის (10.07.2020 წ. მდგომარეობით) და იქვე აღნიშნა, რომ შესაძლოა, იყოს მცირე ცდომილება, რადგან მონაცემები ყოველი კვირის ბოლოს ჯამდება. ამასთან, ისაუბრა სააგენტოს მიერ მიღწეულ შედეგებზე თითოეული მიმართულებით, კერძოდ:

იურიდიულად ძალადაკარგული დოკუმენტების მქონე მოქალაქეები – გაგზავნილია 87 358 გამაფრთხილებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება (შეტყობინება გაეგზავნა მათ, ვისი სატელეფონო ნომრებიც არსებობდა სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში); აქციით ისარგებლა იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის მფლობელმა 79 748 პირმა;

რეგისტრაციიდან მოხსნილი პირები – სატელეფონო ზარის მეშვეობით ინფორმაცია მიეწოდა რეგისტრაციიდან მოხსნილ 8 300 მოქალაქეს, დაკავშირება ვერ მოხერხდა 29 697 პირთან; რეგისტრაციიდან მოხსნილი 2 042 მოქალაქე (ძველი პირადობის მოწმობის მქონე) დარეგისტრირდა იდენტიფიცირებად მისამართზე და ისარგებლა აქციით; ID ბარათის მქონე 7 627-მა მოქალაქემ, რომლებსაც შეჩერებული ჰქონდათ პირადობის მოწმობის მოქმედება რეგისტრაციიდან მოხსნის გამო, გაიარა რეგისტრაცია იდენტიფიცირებად მისამართზე; რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეების ოჯახის

წევრებთან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად გამოვლინდა და მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა 93 გარდაცვალების ფაქტი;

ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული დევნილის სტატუსშეჩერებული მოქალაქეები, რომლებსაც გაუქმებული აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება 8116 დევნილის სტატუსშეჩერებული მოქალაქე, რომლებსაც გაუქმებული აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; სააგენტოში მიმდინარე აქციის შესახებ სატელეფონო კომუნიკაცია განხორციელდა 6880 მოქალაქესთან; აქციით ისარგებლა 21-მა პირმა;

არარსებულ/არასრულ ან/და ლიკვიდირებულ მისამართზე რეგისტრირებული პირები – სააგენტოს მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, გამოვლინდა არარსებულ მისამართზე რეგისტრირებული 7120 პირი; სატელეფონო კომუნიკაცია შედგა 3155 მოქალაქესთან; 401 შემთხვევაში შესწორდა მოქალაქის მისამართი;

მისამართის გარეშე რეგისტრირებული პირები, რომლებსაც არ უფიქსირდებათ ან არასრულად აქვთ მითითებული ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი – პროექტის დაწყების ეტაპზე გამოვლინდა მისამართის გარეშე რეგისტრირებული 5199 მოქალაქე; სატელეფონო კომუნიკაცია შედგა 1175 მოქალაქესთან; აქციით ისარგებლა და იდენტიფიცირებად მისამართზე დარეგისტრირდა ძველი პირადობის მოწმობის მქონე 619 პირი, ხოლო ID ბარათის მფლობელი 2807 მოქალაქე დარეგისტრირდა სწორ, იდენტიფიცირებად მისამართზე;

მონაცემთა ბაზებში სურათის გარეშე და უხარისხო სურათის მქონე ჩანაწერების შემცირება – პროექტის დაწყების ეტაპზე გამოვლინდა სურათის გარეშე და უხარისხო სურათის მქონე 1155 ჩანაწერი; სატელეფონო კომუნიკაცია შედგა 40 მოქალაქესთან, 11 პირი აღმოჩნდა გარდაცვლილი, გაუქმდა 1 გაყალბებული დოკუმენტი; აქციით ისარგებლა 21-მა პირმა;

გარდაცვლილ პირთა აქტიური ჩანაწერების მაქსიმალურად შემცირება – ანალიზის შედეგად გამოვლინდა 21330 სავარაუდოდ გარდაცვლილი პირი; ჩატარებული საველე სამუშაოებისას გადამოწმდა 6716 მისამართი; სააგენტოს თანამშრომლებმა ვერ მოიძიეს ინფორმაცია 4458 პირზე, 1763 პირი კი გადამოწმების შედეგად ცოცხალი აღმოჩნდა;

ბოლო პროექტის ფარგლებში შედგენილი და ბაზაში დარეგისტრირებულია 421 გარდაცვალების ოქმი; საერთო ჯამში, 2013 წლიდან პროექტის ფარგლებში 9876 გარდაცვლილი პირია ამოღებული საარჩევნო სიიდან.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ბატონი ალექსანდრე ტაბატაძე დაინტერესდა, განხილულ საკითხებთან მიმართებით სააგენტო თვეში, საშუალოდ, რა შედეგებს დადებს არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ბატონი ზურაბ სანიკიძის განმარტებით, თვეში 5000-მდე ხარვეზის აღმოფხვრაზე აქვთ ორიენტირი. ამასთან, მისი თქმით, სააგენტო მაქსიმალურადაა მობილიზებული, რათა წინასაარჩევნო პერიოდში ხარვეზების მაქსიმალური რაოდენობა გადაიჭრას.

შემდგომ ბატონმა ალექსანდრემ სიტყვა გადასცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გიორგი კალანდარიშვილს.

ბატონმა გიორგიმ მადლობა გადაუხადა იუსტიციის სამინისტროს, რომ 2020 წელსაც მიეცა უწყებათაშორისი კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღების საშუალება და კომისიის წევრებსა და დაინტერესებულ სუბიექტებს მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია კომპეტენციის ფარგლებში. მისი თქმით, დღეის მდგომარეობით, ცესკო-ში მიმდინარეობს მზადება წინასაარჩევნო პერიოდისთვის. ამასთან, აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში უწევთ დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა არჩევნები ჩატარდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად, რასაც ხელს უწყობს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებიც.

ბატონმა გიორგიმ კომისიას ინფორმაციის სახით აუწყა, რომ დღეს არის პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ცესკო-ში რეგისტრაციისთვის მიმართვის ბოლო ვადა. ამასთან, აღნიშნა, რომ, 12.00 საათის მონაცემებით, სულ 53 განაცხადია შესული, საიდანაც 10 რეგისტრირებულია, 42 რეგისტრაციის პროცესშია და ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. მისი თქმით, ეს ის პარტიებია, რომელთაც ეკუთვნოდათ, და საკანონმდებლო ორგანომ გარკვეული დამატებითი შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა მისცა იმ შემთხვევაში, თუ მათ პარლამენტში არ ჰყავდათ წარმომადგენელი. როგორც ბატონი გიორგი ვარაუდობს, დამატებით იქნება რამდენიმე პარტია, რომლებსაც უშუალოდ არჩევნების დანიშვნის დღემდე, კენჭისყრამდე 57-ე დღისა, აქვთ რეგისტრაციის დამატებითი შესაძლებლობა. ესენია ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებსაც საქართველოს პარლამენტში თავიანთი პარტიის წარდგენით ჰყავთ წარმომადგენელი.

ამასთან, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ 15 ივლისს საოლქო საარჩევნო კომისიებში იგეგმება სხდომა და იმედოვნებს, რომ კომისიები დაადგენენ საუბნო საარჩევნო კომისიების საზღვრებს.

სხდომის დასასრულ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა მიხეილ სარჯველაძემ, და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე ტაბატაძემ, მადლობა გადაუხადეს კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

სხდომა დასრულდა 12:33 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: